



საქმე № 1გ/ 1563



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

06 ოქტომბერი, 2016 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე
სპარტაკ პავლიაშვილმა

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბრალდებულ **გ. ლ.-ს** ადვოკატების - **გ. გ.-სა** და **შ. კ.-ს** საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე არსენ კალატოზიშვილის 2016 წლის 02 ოქტომბრის განჩინებაზე,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამომიებო ნაწილის (დეპარტამენტის) წარმოებაშია სისხლის სამართლის № **074118159** საქმეს **გ. ლ.-ს** მიმართ.

ამ საქმეზე **გ. ლ.-ს** 2016 წლის 22 სექტემბერს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (იხ: დადგენილება პირის ბრალდების შესახებ).

2016 წლის 30 სექტემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიას საჩივრით მიმართეს ბრალდებულ **გ. ლ.-ს** ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა **გ. გ.-მა** და **შ. კ.-მ** და ითხოვეს ბრალდებულ **გ. ლ.-ს** მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებულად გაჭიანურებასთან დაკავშირებული საჩივრის დაკმაყოფილება და 2016 წლის 21 სექტემბრის ბრალდებასთან დაკავშირებით არსებული ყველა მტკიცებულების, დაუშვებლად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე არსენ კალატოზიშვილის 2016 წლის 02 ოქტომბრის განჩინებით ბრალდებულ **გ. ლ.-ს** ინტერესების დამცველი ადვოკატების საჩივარი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე არსენ კალატოზიშვილის 2016 წლის 02 ოქტომბრის განჩინება ბრალდებულ გ. ლ.-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა გ. გ.-მა და შ. კ.-მ გაასაჩივრეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში და ითხოვეს სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებულად გაჭიანურებასთან დაკავშირებული საჩივრის დაკმაყოფილება და 2016 წლის 21 სექტემბრის ბრალდებასთან დაკავშირებით არსებული ყველა მტკიცებულების, დაუშვებლად ცნობა.

საჩივრის ავტორებს მიაჩნიათ, რომ მოსამართლის განჩინება დაუსაბუთებელია და აღნიშნავენ რომ მოცემული საქმე არის მრავალტომიანი, ასევე დაცვის მხარე მიუთითებს საქართველოს სსსკ-ის 169-ე მუხლზე და განმარტავს - ის ფაქტი რომ საჩივარს არ ახლდა საქმის მასალები, არ უნდა გამხდარიყო საჩივარის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან მოსამართლეს შეეძლო დაენიშნა ზეპირი განხილვა, სადაც დაცვის მხარე შეძლებდა საქმის მასალების წარდგენას და მისი მოთხოვნის დასაბუთებას. აღნიშნულიდან გამომდინარე წინამდებარე საჩივარს ერთვის საქმის მასალები, რომელთა ანალიზის შედეგად სარწმუნოა საჩივრის საფუძვლიანობა, დაცვის მხარე აღნიშვნას აკეთებს ბრალდების შესახებ დადგენილებაში მოყვანილ ფაქტებზე და ყურადღებას ამახვილებს რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალზე, რომ გ. ლ.-ს ბრალი წარედგინა 2016 წლის 22 სექტემბერს შესაძლო დანაშაულებრივ გარემოებებთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ მიტინგის დარბევა მოხდა 2011 წლის 26 მაისს, მას შემდეგ გასულია 5 წელი. ამ ე. წ. „26 მაისის“ საქმეზე მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის - ვ. მ.-ს წინააღმდეგ დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენი გამოცხადდა 2014 წლის 27 თებერვალს და ი. მ. წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ იქნა ცნობილი. აღნიშნულ საქმეზე ყველა სხვა მოწმესთან ერთად ისევე, როგორც საგამოძიებო ორგანოში, ასევე სასამართლოში დაიკითხა ი. მ.-ს მოადგილე- გ. ლ.. მან დეტალური ჩვენება მისცა და განმარტა მხარეთათვის საინტერესო ყველა გარემოება, ი. მ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე მოწმეები დაკითხულია 2014 წლამდე.

დაცვის მხარე მეორე მნიშვნელოვან დეტალად მიიჩნევს შემდეგ გარემოებებს, რომ გ. ლ.-ს 2011 წლის 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით ბრალი წარედგინა 2016 წლის 21 სექტემბერს, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია გ. ლ.-ს ბრალდების დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება, რომელიც 2013 წლის შემდგომმა მოპოვებული და არც ერთი მტკიცებულება არა თუ არ ადასტურებს გ. ლ.-ს ბრალდებას, არამედ საერთოდ არანაირ კავშირში არაა მასთან. 2013 წლის გამოკითხული არც ერთი პირი არ ახსენებს გ. ლ.-ს. ბრალდების მხარემ წარმოადგინა ვიდეომასალა, რომელშიც გ. ლ.-ს მონაწილეობა დადასტურებული არ არის. ბრალდების მხარემ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების სასამართლო სხდომაზე თავადვე განმარტა, რომ აღნიშნული ვიდეომასალა ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის ჩასატარებლად გადაცემული და ჯერ კიდევ არ არის დადგენილი ვიდეომასალაზე გამოსახული პირების ვინაობა. ანუ, გამოდის, რომ გ. ლ.-ს ბრალი წარედგინა მხოლოდ 2013 წლამდე მოპოვებული მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე და 2013 წლის შემდგომ არც ერთი ახალი მტკიცებულება არ ყოფილა მოპოვებული. დაცვის მხარე აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე

შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა ჩაიდინა დანაშაული“. განსახილველ საქმეზე გამოძიება 2013 წლამდე პერიოდში დაიწყო და ამავე პერიოდში გამოძიების დროს შეიკრიბა მტკიცებულებათა ერთობლიობა რაც პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველია, თუმცა ამ პერიოდში გ. ლ.-ს ბრალი არ წარდგენია. დაცვის მხარის მოსაზრებით ცალსახა და ნათელია, რომ ბრალდებულის მიმართ ადგილი აქვს პოლიტიკურად მოტივირებულ დევნას და სახეზეა სისხლისსამართლებრივი დევნის ხელოვნურად გაჭიანურება ხელსაყრელ მომენტამდე. ამ ფაქტს მისი შესაძლო ქმედებებიდან 5 წლის შემდეგ წარდგენილი ბრალდებების შესახებ დადგენილება ამყარებს, რომელიც მხოლოდ 2013 წლამდე მოპოვებულ მტკიცებულებებს ეყრდნობა (იხ. საჩივარი).

სასამართლომ განიხილა საჩივარი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს და მიაჩნია, რომ საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: საჩივრის ავტორები ითხოვენ ყველა იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას, რომელიც გამოძიების მიერ მოპოვებული იქნა გამოძიების დროს, მას შემდეგ, რაც შეიქმნა გ. ლ.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი. აღნიშნული მოთხოვნა ეფუძნება საქართველოს სსსკ-ის 169-ე მუხლის მოთხოვნებს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილი პირს აძლევს შესაძლებლობას, ბრალდების შესახებ დადგენილების გადაცემიდან ათი დღის ვადაში საჩივარი შეიტანოს სასამართლოში თუ მიიჩნევს, რომ მის მიმართ ადგილი ქონდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურებას. სასამართლო უფლებამოსილია დააკმაყოფილოს საჩივარი თუ მიიჩნევს, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და მართლაც ჰქონდა ადგილი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურებას. საჩივრის დაკმაყოფილება წარმოადგენს არა ყველა მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველს, არამედ მხოლოდ იმ მტკიცებულებების, რომლებიც მოპოვებულ იქნა გამოძიების დროს მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლო ამ დებულებებზე დაყრდნობით განმარტავს, რომ მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას წინ უნდა უძღოდეს კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გაჭიანურება. აღნიშნული გარემოების დადგენა კი უკავშირდება მრავალ ურთიერთდაკავშირებულ მოცემულობებს, რაც მიუთითებდა საგამოძიებო ორგანოს შეგნებულ მოქმედებებზე. ამ სახის გადაწყვეტილების მიღებისას მხდველობაში უნდა იქნეს მიღებული სისხლის სამართლის საქმის სირთულე და მისი გამოძიების თავისებურებები. როდესაც სისხლის სამართლის საქმეზე ხდება რამოდენიმე ასეული მოწმის დაკითხვა, ასევე უამრავი ვიდეოჩანაწერების დათვალიერება, გარკვეული დროის გასვლა, თუნდაც 1-2 წლის ბუნებრივად გამოიყურება და საგამოძიებო კოლეგია საგამოძიებო ორგანოების შეგნებულ მოქმედებებს ვერ ხედავს. მითუმეტეს, რომ ამ ყველაფერს სჭირდება შესაბამისი შეფასება და დასკვნის ჩამოყალიბება. გარდა ამისა კონკრეტული ბრალდებულის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა (ამ შემთხვევაში ი. მ.) არ უნდა ნიშნავდეს, რომ გამოძიების ინტერესები მიღწეულია და ყველა შესაძლო ბრალდებულის მიმართ დევნის დაწყების საფუძველი ასევე იმ მომენტიდან არსებობს.

სისხლის სამართლის საქმის წარმოების გაჭინაურებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს განმარტებები გაკეთებული აქვს არაერთ საქმეში მათ შორისაა საქმე - *Luluyev and others v. Russia* #92, სადაც სტრასბურგის სასამართლო განმარტავს, რომ „აუცილებელია იმ აზრთან შეგუება, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს წინააღმდეგობებს ან სიძნელეებს, რომლებიც ხელს უშლიან გამოძიების პროგრესს გარკვეულ პირობებში..“ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საქმე ეხებოდა სიცოცხლის უფლების ხელყოფას და ამ საქმის გამოძიების გაჭინაურებას, სასამართლომ მაინც მიუთითა გამოძიების წინაშე მდგარი სირთულეების გათვალისწინებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ გ. ლ.-სათვის ბრალად შერაცხული ქმედება ითვალისწინებს 2011 წლის 26 მაისს მანიფესტაციის იძულებით დაშლის პროცესში უფლებამოსიულების გადამეტებას. აღნიშნულ დანაშაულს ახასიათებს, მრავალწახნაგოვანი სუბიექტური და ობიექტური მხარეები, რომელთა დადგენაც ობიექტურად სირთულეებს უკავშირდება. განსაკუთრებით იმ პირობებში არ არსებობს ამგვარი საქმეების გამოძიების და სასამართლო განხილვის პრაქტიკული მაგალითები საქართველოში.

გარდა ამისა სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის გაჭინაურების დადგენა უკავშირდება, გამოძიების მიერ რაღაც კონკრეტულ შედეგების მიღწევას ბრალის დადასტურების საქმეში, რაზე მითითება და შესაბამისი დასაბუთება აუცილებელია. დაცვის მხარეს საერთოდ მიაჩნია, რომ დღესაც არ არსებობს გ. ლ.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი, შესაბამისად ის არ არსებობდა არც 2014-2016 წლებში. თვით სააპელაციო სასამართლო კი ზემოთხსენებული გარემოებების გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებულად გაჭინაურების ნიშნებს ვერ ხედავს.

ამ გარემოებებზე დაყრდნობით გ. ლ.-ს დამცველების გ. გ.-ს და შ. კ.-ს სააპელაციო საჩივარი დასაბუთებას მოკლებულია, რის გამოც იგი არ დაკმაყოფილდება.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20, 169-ე, 207-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ბრალდებულ გ. ლ.-ს ადვოკატების - გ. გ.-სა და შ. კ.-ს საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე არსენ კალატოზიშვილის 2016 წლის 02 ოქტომბრის განჩინებაზე, არ დაკმაყოფილდეს.

განჩინების ასლები გაეგზავნოს და გადაეცეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ პირებს და ორგანოებს;

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე
სპარტაკ პავლიაშვილი